ტესტი გეოგრაფიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- *ღია დავალება*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ტექსტი; ფოტო; ცხრილი; გრაფიკი; დიაგრამა; ფიზიკური, კონტურული, ტოპოგრაფიული რუკები და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 1. ატმოსფერული წნევის გარდა კიდევ რის განსაზღვრა შეიძლება ბარომეტრ-ანეროიდით?

ა) გეოგრაფიული განედის;

ბ) ზღვის დონიდან სიმაღლის;

გ) მზის ნათების ხანგრძლივობის;

დ) ატმოსფეროს ქიმიური შემადგენლობის.

(1) **2. რომელია ურბანული ლანდშაფტი?**

(1) **3. რუკიდან გამომდინარე რომელია მართებული მსჯელობა?**



ა) სკანდინავიის ყველა ქვეყნისთვის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა 1-ზე ნაკლებია;

ბ) ბენილუქსის ყველა ქვეყნისთვის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა 1-ზე ნაკლებია;

გ) საფრანგეთის და იტალიის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი ერთნაირ დიაპაზონშია;

დ) ესპანეთის და გერმანიის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის მაჩვენებელი ერთნაირ დიაპაზონშია.

(1) **4. მიწისძვრების გავრცელების არეალების რუკიდან გამომდინარე რომელ კონტინენტზე *<u>არ ხდება</u>* ძლიერი და შესამჩნევი მიწისძვრა?**



ა) ანტარქტიდის;

ბ) ავსტრალიის;

გ) აფრიკის;

დ) ევროპის.

(1) **5. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება უფრო ადრე ზაფხულის მუსონები?**



ა) შრი-ლანკის;

ბ) ინდოეთის;

გ) ნეპალის;

დ) იაპონიის.

(1) 6. რომელი ქალაქის ჰავას შეესაბამება კლიმატური დიაგრამის მონაცემები?



ა) კიტოს;

ბ) სანტიაგოს;

გ) ბრაზილიის;

დ) მონტევიდეოს.

(1) 7. რომელი მოგზაურის ექსპედიციის მარშრუტია რუკაზე დატანილი წითელი (I) ისრებით?

ა) ჯეიმზ კუკის;

ბ) ფრენსის დრეიკის;

გ) ქრისტეფორე კოლუმბის;

დ) ფერნანდო მაგელანის.

(1) 8. ჩამოთვლილი სამხარეო ერთეულებიდან რომელია კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური სომხებით?



ა) სამცხე-ჯავახეთი;

ბ) აჭარა;

გ) გურია;

დ) სამეგრელო-ზემო სვანეთი.

(1) 9. ჩამოთვლილთაგან რომელ რეგიონშია *უფრო დაბალი* ურბანიზაციის დონე?

მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით

(ათასი)

რეგიონი	2025		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
გურია	100.6	30.5	70.1
კახეთი	298.5	70.3	228.2
ქვემო ქართლი	438.9	196.4	242.5
შიდა ქართლი	242.0	94.7	147.3

ა) გურიაში;

ბ) კახეთში;

გ) ქვემო ქართლში;

დ) შიდა ქართლში.

(1) 10. რომელ ქედზეა ფართოდ გავრცელებული რელიეფის კარსტული ფორმები?

ა) პირიქითას;

ბ) სამსარის;

გ) გაგრის;

დ) მესხეთის.

(1) 11. ჩამოთვლილთაგან რომელ რეგიონშია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს *უფრო მაღალი* მაჩვენებელი?

რეგიონი	მთლიანი შიდა პროდუქტი 2023 წ. (მლნ. ლარი.)	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით 2024 წ. (ათასი)
გურია	1395	102
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	479	26
სამცხე-ჯავახეთი	2336	142
მცხეთა-მთიანეთი	2196	93

ა) გურიაში;

ბ) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში;

გ) სამცხე-ჯავახეთში;

დ) მცხეთა-მთიანეთში.

(1) 12. რა განაპირობებს წყალტუბოში კურორტის არსებობას?

ა) სიმაღლე ზღვის დონიდან;

ბ) მზიანი დღეების დიდი რაოდენობა;

გ) მინერალური წყლების არსებობა;

დ) მყარი ატმოსფერული ნალექების სიმცირე.

(1) 13. ჩამოთვლილი დაცული ტერიტორიებიდან რომელია აღკვეთილი?

ა) ბაბანეურის;

ბ) კოლხეთის;

გ) მტირალას;

დ) აჯამეთის.

(1) **14. რომელ რეგიონშია გადაღებული ფოტოები?**

ა) სამეგრელო-ზემო სვანეთში;

ბ) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში;

გ) სამცხე-ჯავახეთში;

დ) აჭარაში.

(1) 15. რომელი კლიმატური დიაგრამა შეესაბამება მოცემულ ლანდშაფტს საქართველოში?

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე.









გადასვლა
დავალების:
I გვერდზე;
II გვერდზე.

(1) **16. რომელმა ფაქტორმა შეუწყო ხელი გაერთიანებულ სამეფოში მოსახლეობის ზრდას 2000 წლიდან 2020 წლამდე?**

ა) გაზრდილმა შობადობამ;

ბ) სიკვდილიანობის შემცირებამ;

გ) საერთაშორისო მიგრაციამ;

დ) ჯანდაცვის გაუმჯობესებამ.

(1) 17. ავსტრალიის მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელია მართებული მსჯელობა?





ა) მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე თანაბრად ვრცელდება მთლიან სანაპირო ზონაში;

ბ) მაღალი სიმჭიდროვე კონცენტრირებულია ჩრდილო-დასავლეთის სანაპირო ზონაში;

გ) მჭიდროდ დასახლებული რაიონები გადაჭიმულია ბრისბენიდან მელბურნამდე სიდნეისა და კანბერას გავლით;

დ) ქვეყნის შიდა ნაწილი გამოირჩევა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით სამთო-მოპოვებითი ქალაქების არსებობის გამო.

(1) 18. გაანალიზეთ 2000-2020 წლების მიგრაციის ნაკადების რუკა და განსაზღვრეთ, ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან რომელი ქვეყნის ემიგრანტებმა შეიტანეს უფრო დიდი წვლილი ავსტრალიის მოსახლეობის ზრდაში?



ა) ფილიპინების;

ბ) ახალი ზელანდიის;

გ) ინდოეთის;

დ) აშშ-ს.

(1) 19. გაანალიზეთ ავსტრალიის მოსახლეობის 2024 წლის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა და განსაზღვრეთ, დემოგრაფიული გადასვლის რომელ ფაზაში იმყოფება ქვეყანა?



ა) პირველში;

ბ) მეორეში;

გ) მესამეში;

დ) მეოთხეში.

(1) 20. კიოპენ-გეიგერის კლიმატის კლასიფიკაციის რუკის მიხედვით, რომელი ფერითაა აღნიშნული ზონა, რომელიც კლასიფიცირდება როგორც მშრალი ტროპიკული კლიმატი?



ა) წითელი (BWh);

ბ) ლურჯი (Am);

გ) მწვანე (Cfb);

დ) ყვითელი (Csa).

(1) 21. გააანალიზეთ ინფორმაცია და განსაზღვრეთ, რომელი კლიმატური მოვლენა ახდენს ყველაზე მეტად გავლენას დასავლეთ ინდოეთსა და ბანგლადეშზე ზაფხულში ძლიერი წვიმის სეზონზე?



ა) ლა-ნინიას ფენომენი;

ბ) სამხრეთ-დასავლეთის პასატი;

გ) სამხრეთის ცირკუმპოლარული დინება;

დ) სამხრეთ-დასავლეთის მუსონი.

(3) 22. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ბუნებრივი რესურსი, რომლითაც ყველაზე მეტად გამოირჩევა აფრიკის სხვადასხვა ქვეყანა



გადასვლა დავალების: I გვერდზე,
II გვერდზე,
III გვერდზე.









გადასვლა დავალების: I გვერდზე, II გვერდზე, III გვერდზე.





(1) 22.1. ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყნის მთავარი რესურსია ოქრო?

ა) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის; ბ) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის;

გ) კენიის; დ) კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის.

(1) 22.2. ჩამოთვლილთაგან რომელი რესურსია აფრიკის ქვეყნების უმრავლესობაში მთავარი?

ა) ნავთობი; ბ) ალმასი; გ) ქვანახშირი; დ) ოქრო.

(1) 22.3. ჩამოთვლილთაგან, რის მოპოვებითაა აფრიკის კონტინენტი მსოფლიოში ლიდერი?

ა) ურანის; ბ) ალმასის; გ) ქრომის; დ) კობალტის.

გადასვლა დავალების: I გვერდზე, II გვერდზე, III გვერდზე.

(1) 23. ტოპოგრაფიულ რუკაზე გამოყოფილ რომელ არეალში მდებარეობს სატელიტურ ფოტოზე ნაჩვენები ტერიტორია?



ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

(4) **24. გააანალიზეთ ტოპოგრაფიული რუკის ფრაგმენტი და უპასუხეთ კითხვებს:**



გადასვლა დავალების:

I გვერდზე; II გვერდზე.

რელიეფი

ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2,5 მეტრში



ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



სიმაღლის ნიშნულები ა) ძირითადი ბ) ჩვეულებრივი

ქვიშნარი

გაუვალი და ძნელადგასავლელი ჭაობები (0.7-ჭაობის სიღრმე მ-ში)

ადვილადგასავლელი ჭაობები

ჰიდროგრაფია



მდინარეები, ნაკადულები, ტბები

შრობადი ნაკადები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები



ქვანახშირის მოპოვება

ტორფის მოპოვება

ღია ტიპის კარიერები: თაბაშირი - მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღმე მ-ში

თიხა - მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

(1) **24.1.** **დაახლოებით რამდენი მეტრია მთა მახათას აბსოლუტური სიმაღლე?**

ა) 172,5 მ ბ) 178,8 მ გ) 180,9 მ დ) 184,7 მ

(1) **24.2.** **დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მდინარე ცარცულას შესართავიდან მთა მახათა?**

ა) 50^0 ბ) 100^0 გ) 250^0 დ) 300^0

(1) **24.3.** **რომელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხდება მოცემულ ტერიტორიაზე?**

ა) ქვანახშირის; ბ) თიხის; გ) ტორფის; დ) თაბაშირის.

(1) **24.4.** **რამდენი მეტრია მდინარე ცარცულას ვარდნა? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.**

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე.

(3) **25. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:**

ფოტოზე გამოსახულია ტინგველირის რიფტული ხეობა.



(1) **25.1. სად მდებარეობს ტინგველირის რიფტული ხეობა?**

ა) ახალი ზელანდიის კ-ებზე; ბ) კ. ახალ გვინეაზე; გ) კ. მადაგასკარზე; დ) კ. ისლანდიაზე.

(2) **25.2. ახსენით, რატომ წარმოიქმნა ტინგველირის რიფტული ხეობა და რა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა მის ნაცვლად მთაგრეხილი / ქედი?**

(5) **26. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:**

მწვანე პოლიტიკის ფარგლებში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია წიაღისეული საწვავისადმი დამოკიდებულების შემცირება. რუკაზე მწვანე ფერით აღნიშნულია სახელმწიფოები რომელთა საკანონმდებლო ორგანოში მწვანეთა პარტიაა წარმოდგენილი (რაც უფრო მუქია მწვანე ფერი, მით უფრო მაღალია მათი წარმომადგენლების წილი საკანონმდებლო ორგანოში).



გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე.

(1) 26.1. ჩამოთვლილთაგან, რომელ სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოშია მწვანეთა პარტია უფრო ნაკლებად წარმოდგენილი?

ა) ესპანეთში;
ბ) აშშ-ში;
გ) ირლანდიაში;
დ) გერმანიაში.

(2) 26.2. დაასახელეთ და ახსენით, რა ეკოლოგიურმა ფაქტორმა განსაზღვრა დღეს მსოფლიოში წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების პოლიტიკის აქტუალობა.

(1) 26.3. ახსენით, როგორ მოქმედებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება, საწვავის იმპორტიორი ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ მდგრადობაზე.

(1) 26.4. როგორ პოლიტიკას ატარებენ მაღალი ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მქონე მთავრობები?

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე.

(5) 27. გააანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:







(1) 27.1. რომელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების არეალია ნაჩვენები სატელიტურ ფოტოებზე?

(1) 27.2. ძირითადად, როგორი წესით ხდება ილუსტრაციაზე მოცემულ ადგილზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება?

(1) 27.3. რა ეკოლოგიურ პრობლემას ქმნის მოპოვების ამგვარი წესი ადგილობრივი მოსახლეობისთვის?

(2) 27.4. აღწერეთ, ილუსტრაციებიდან გამომდინარე, რა ტენდენცია შეინიშნება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების არეალთან დაკავშირებით და ახსენით, რამ განაპირობა აღნიშნული განსხვავება?

(4) 28. გააანალიზეთ მოცემული ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 28.1. საქართველოს რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაშია გადაღებული ფოტო?

(1) 28.2. რა ქვია ფოტოს უკანა ხედზე მდებარე მთის მასივს?

(1) 28.3. რომელ ბუნებრივ ზონაში მდებარეობს A წერტილი?

(1) 28.4. რომელ ბუნებრივ ზონაში მდებარეობს B წერტილი?

(6) 29. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



დიაგრამაზე მოცემულია მსოფლიოში მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები და მათ მიერ ექსპორტირებული საქონლის მთლიანი ღირებულება (აშშ დოლარში), ხოლო რუკაზე ასახულია სხვადასხვა ქვეყნიდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა (აშშ დოლარში).

მიუხედევად იმისა, რომ მექსიკა არ შედის მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკების პირველ ათეულში, ის პირველი ადგილზეა აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მოცულობით.

განვითარებად ქვეყნებში საშუალო ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც განვითარებად ქვეყნებში წარმოების სიიაფეს განაპირობებს. აშშ-ის ხელისუფლებამ სხვა ქვეყნების მიმართ დააანონსა მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ამ ქვეყნებიდან აშშ-ში იმპორტირებულ პროდუქციაზე მაღალი ტარიფების* (გადასახადების) დაწესებას.

*-2026 წლის დასაწყისში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ტარიფების გარკვეული ნაწილი უკანონოდ ცნო

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე.



გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე.

(1) 29.1. ევროპის კავშირის რომელი ქვეყანაა აშშ-ში ექსპორტის მოცულობით პირველ ადგილზე?

(2) 29.2. დაასახელეთ გეოგრაფიული ფაქტორი, რის გამოც, მექსიკა აშშ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორია და ახსენით, რაში მდგომარეობს ამ გეოგრაფიული ფაქტორის უპირატესობა.

(2) 29.3. რით „დაემუქრა“ აშშ-ის ხელისუფლება მექსიკას მისი პროდუქციის აშშ-ში ექსპორტთან დაკავშირებით? რა რისკს შეიცავს ეს მუქარა ამოქმედების შემთხვევაში მექსიკის ეკონომიკისთვის?

(1) 29.4. ახსენით, 2023 წელს რომელი ქვეყნის ეკონომიკა იყო უფრო მეტად დამოკიდებული აშშ-ის ბაზარზე, იაპონიის თუ ვიეტნამის?

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე.

(7) 30. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



გადასვლა დავალების:

I გვერდზე;

II გვერდზე;

III გვერდზე.



გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე.

(2) 30.1 მხედველობაში თუ არ მოვიღებთ თბილისის მონაცემებს, საქართველოს რომელი რეგიონის / მხარის მოსახლეობა იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით და ქვეყნის მოსახლეობის რამდენ პროცენტს შეადგენდა ის? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(1) 30.2. გამოთვალეთ, რამდენს შეადგენდა 2021 წელს საქართველოში მიგრაციული სალდო. აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(1) 30.3. გამოთვალეთ, 2021 წელს შობადობის კოეფიციენტი საქართველოში. აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(1) 30.4. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის მიხედვით, ყველაზე მეტად რომელ ასაკობრივ ჯგუფში სჭარბობს ქალები მამაკაცებს?

(2) 30.5. აღწარმოების როგორ ტიპს შეესაბამება 2021 წლის საქართველოს დემოგრაფიული მონაცემები? პასუხი დაასაბუთეთ.

გადასვლა დავალების: I გვერდზე; II გვერდზე; III გვერდზე.